საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-712

19/05/2021

ქ. თბილისი

შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის“ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში მრავალმიზნობრივი დანიშნულების ტერმინალზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 13 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2003 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის“ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში მრავალმიზნობრივი დანიშნულების ტერმინალზე გაიცა №35 (18.04.2003) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი ნებართვა. შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნულ დასკვნას მთლიანად მოიცავს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წელს სამინისტროს მიერ გაცემული №62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს 2003 წლის №35 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის“ ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში მრავალმიზნობრივი დანიშნულების ტერმინალზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №35; 18.04.2003);
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურს“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი